



დანართი N1

ავტოტრანსპორტის დაზღვევის
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

შენიშვნა: დაზღვევის გამონაკლისები იხ. წინამდებარე პირობების 10.15.3, 11.1, 11.2, 11.3, 11.4, 11.5, 11.6, 11.7, 11.8, 11.9, 11.10, 11.11, 11.12, 11.13, 11.14, 11.15, 11.16, 11.17, 11.18, 11.19, 11.20, 11.21, 11.22, 11.23, 11.24, 11.25, 11.26, 11.27, 11.28, 11.29, 11.30, 11.31-ე პუნქტებში.



საერთო პირობები

წინამდებარე, სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ ავტომობილის დაზღვევის პირობები, წარმოადგენს ორმხრივად ხელმოწერილი სადაზღვევო პოლისის და მისი დანართების განუყოფელ ნაწილს,

ტერმინთა განმარტება

დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

მზღვეველი - სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“.

დამზღვევი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან.

დაზღვეული - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა.

მოსარგებლე - დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

დაზღვეული ავტოტრანსპორტი - პოლისში მითითებული სახმელეთო სატრანსპორტო საშუალება;

საბაზრო ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ფასი, რომელიც ყალიბდება საქართველოში საქონლის/ მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში - მსგავსი) საქონლის/ მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთხემოქმედების შედეგად.

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც თან ერთვის ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკებით გამოწვეული შემთხვევა, რომლის დადგომისას, წინამდებარე პირობების შესაბამისად, მზღვეველს წარმოეშობა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება დამზღვევის/მოსარგებლის წინაშე.

სადაზღვევო რისკი - მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა.

სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს ქონების დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება.

გამომუშავებელი პრემია - წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ნაწილს (მიუხედავად იმისა, გადახდილი არის თუ არა მზღვეველისათვის პრემია), რომელიც მიეკუთვნება მომავალ პერიოდს (პერიოდის პროპორციული).

გამომუშავებული პრემია - წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება გასულ პერიოდს (პერიოდის პროპორციული).

სრული გამომუშავებული პრემია - წარმოადგენს გამომუშავებულ პრემიას დამატებული სადაზღვევო პრემიის 10% (მოკლევადიანობის კოეფიციენტი).

დაზღვევის პერიოდი - დაზღვევის მოქმედების პერიოდი, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

დაზღვევის ტერიტორია - სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორიული ფარგლები

სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა - მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი. სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დაზღვევის მომენტში ავტომობილის საბაზრო ღირებულებით და მითითებულია პოლისში.

ანაზღაურების ლიმიტი - მძღოლის/მგზავრების უზედური შემთხვევის, ასევე მესამე პირის წინაშე დაზღვევის პასუხისმგებლობის შემთხვევაში, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა (ლიმიტი), რომელიც განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით. გარდა ანაზღაურების ლიმიტისა, შესაძლოა სადაზღვევო პოლისით განისაზღვროს ქველიმიტი თითოეული შემთხვევის და/ან პირისთვის.

ფრანშიზა - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ აანაზღაურებს. მიეთითება სადაზღვევო პოლისში. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომლის ოდენობა არ აღემატება ფრანშიზას, დანარჩენ შემთხვევაში, ყოველი ზარალი ანაზღაურდება ფრანშიზის თანხის გამოკლებით.

შემცირებული ან არასრული დაზღვევა - თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ მზღვეველი აანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც წინამდებარე პირობების საფუძველზე, მზღვეველი ვალდებულია აუნაზღაუროს დამზღვევს, წარმოშობილი ზიანის სანაცვლოდ;

უფლებამოსილი მძღოლი - უფლებამოსილ მძღოლად განისაზღვრება ფიზიკური პირი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს, ფლობს შესაბამისი კატეგორიის მოქმედ მართვის მოწმობას და გააჩნია მინიმუმ 1 წლის მართვის გამოცდილება, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეებს შორის არსებობს სხვაგვარი შეთანხმება. უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ი დამზღვევს მითითებული უნდა ჰყავდეს ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადში და წარმოდგენილი ჰქონდეს მათი მართვის მოწმობის ასლები.

ძირითადი მძღოლი - განაცხადში მითითებული უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც უმეტეს წილად მართავს დაზღვეულ ავტომობილს.

იდენტიფიცირებული მესამე პირი - როდესაც დადგენილია ზიანის გამომწვევი, ან სამართალდამრღვევი პირი.

ცალკეული დეტალები და აქსესუარები - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, საბურავები, დისკები და მისი საფარები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, ყველა სახის დეკორატიული დეტალები, აუდიო და ტელე-ვიდეო აპარატურა, მინები (მათ შორის მინის სახურავი), სარკეები.

ავტომობილის პირადი დანიშნულება - ფიზიკური პირის მიერ ავტომობილის გამოყენება, რაც დაკავშირებული არ არის ავტომობილის კომერციული დანიშნულებით გამოყენებასთან.

ავტომობილის კომერციული დანიშნულება - ავტომობილი, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო მიზნებისათვის იმის და მიუხედავად დარეგისტრირებულია თუ არა აღნიშნული საქმიანობა, მათ შორის ტვირთების ტრანსპორტირება, მომხმარებლების მომსახურება ავტომობილით, საკურიერო და საინკასაციო საქმიანობა.

ავტომობილის სამსახურეობრივი დანიშნულება - მანქანის გამოყენება უფლებამოსილი მძღოლის გადაადგილებისათვის, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების მიზნით რაც არ მოიცავს ავტომობილის გამოყენებას კომერციული დანიშნულებით.

ფორს მაჟორი - ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური ან სხვა შესაბამისი გარემოება, რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარე(ებ)ს არ შეუძლიათ და რომელიც შეუძლებელს ხდის მხარე(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებას.

1. დაზღვევის ობიექტი და საგანი

- 1.1. დაზღვევის ობიექტი _ ავტოტრანსპორტი, რომელიც მითითებულია დამზღვევის ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადში და მზღვევლის მიერ გაცემულ ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისში და რომელსაც დამზღვევი/დაზღვეული მართლობიერად ფლობს, სარგებლობს ან მინდობილ საკუთრებაში აქვს მიღებული;
- 1.2. დაზღვევის საგანი – დაზღვეული ავტოტრანსპორტის და მისი დეტალების დაკარგვა, დაზიანება ან განადგურება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული მოვლენების დადგომის შედეგად;
- 1.3. დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ავტოტრანსპორტზე, სადაზღვევო რისკებზე, ტერიტორიაზე, ვადებზე, წინამდებარე პირობებით, პოლისით და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

2. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება

- 2.1. სადაზღვევო პოლისი გაიცემა დამზღვევის მიერ ავტომობილის დაზღვევის შევსებული განაცხადის, ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის, ფიზ. პირ(ებ)ის პირადობის, მართვის მოწმობების და ავტომობილის დათვალეირების საფუძველზე. თუ ავტომობილი არ არის დამზღვევის საკუთრებაში, დამზღვევმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სადაზღვევო ინტერესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მინდობილობა, სალიზინგო ხელშეკრულება და ა.შ.
- 2.2. სადაზღვევო პოლისის გაცემამდე დამზღვევმა მზღვეველს წერილობით უნდა აცნობოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ სადაზღვევო რისკის შეფასებასა და დაზღვევის სხვა პირობებზე.
- 2.3. ნებისმიერი ტიპის დაზიანება, რომელიც ავტომობილს გააჩნია დაზღვევის მომენტში, უნდა დაფიქსირდეს განაცხადში;
- 2.4. დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულების ასლი, თუ დასაზღვევი/დაზღვეული ავტომობილი წარმოადგენს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას.
- 2.5. 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 პუნქტებით გათვალისწინებული ჩამონათვალი შეიძლება გაიზარდოს, შემცირდეს ან დაზუსტდეს მზღვეველის გადაწყვეტილებით.
- 2.6. დამზღვევის მიერ მზღვეველისადმი მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს სრული და უტყუარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაგან.
- 2.7. დაკარგული ან განადგურებული დაზღვევის პოლისი ითვლება ძალადაკარგულად და გაიცემა მისი დუბლიკატი.
- 2.8. დამზღვევი ვალდებულია, სადაზღვევო პოლისში უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის დამატების შემთხვევაში, მზღვეველს მიაწოდოს ხელმოწერილი წერილი ელ.ფოსტაზე: office@irao.ge. პოლისში უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის დამატება მოხდება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის შესაბამისი ცვლილების ამსახველი დოკუმენტის მიწოდების შემდეგ.

3. ორმაგი დაზღვევა

- 3.1. დამზღვევის მიერ იმავე ინტერესის სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში დაზღვევა (ორმაგი დაზღვევა) უნდა შეთანხმდეს მზღვეველთან.
- 3.2. თუ მოცემული ინტერესი ერთი და იმავე რისკისაგან რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული და სადაზღვევო თანხები ჯამში სადაზღვევო ღირებულებას აჭარბებენ, ან, თუ სხვა მიზეზების გამო საზღაურთა ჯამი, რომელიც თითოეული მზღვეველის მიერ სხვა ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში გადახდილი იქნებოდა, აჭარბებს მთელ ზიანს (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველის ვალდებულება დამზღვევის წინაშე შემოიფარგლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იმ თანხის ფარგლებში, რაც მას დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვს გაფორმებული, მაგრამ დამზღვევს არა აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.
- 3.3. თუ დამზღვევმა გააფორმა ორმაგი დაზღვევა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ თითოეული ხელშეკრულება, რომელიც ამ მიზნით არის დადებული, ჩაითვლება ბათილად.

4. სადაზღვევო რისკები:

- 4.1. სადაზღვევო რისკებს განეკუთვნება სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი შემდეგი მოვლენები:
- 4.1.1. ავტოტრანსპორტის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
 - 4.1.2. ავტოსაგზაო შემთხვევა;
 - 4.1.3. ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება;
 - 4.1.4. ვანდალიზმი;
 - 4.1.5. სხვადასხვა საგნის დაცემა;
 - 4.1.6. სტიქიური უბედურებები - მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ქარიშხალი (ატმოსფეროში ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით), მეწყერი, ღვარცოფი;
 - 4.1.7. ცალკეული დეტალებისა და აქსესუარების დაზღვეული რისკების შედეგად დაზიანება ან დაკარგვა, მინებისა და სარკეების ჩათვლით.

5. დამატებითი დაფარვები

- 5.1. **მძღოლის და მგზავრების უბედური შემთხვევა** - შემთხვევა, როდესაც დაზღვეული რისკების შედეგად, ზიანი მიადგა დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაში მყოფი პირ(ებ)ის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- 5.2. **მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობა** – უფლებამოსილი მძღოლის მიერ სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება;
- მესამე პირებად არ ჩაითვლებიან დამზღვევის ოჯახის წევრები და დაზღვეული ავტომობილის მგზავრები.
- 5.3. **მძღოლის დაზღვევა** - ძირითადი მძღოლის მიერ მესამე პირის პირადი დანიშნულების ავტომობილის მართვისას წარმოქმნილი ამავე ავტომობილის დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით. ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა მზღვეველს წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია ავტომობილის სარგებლობაზე, სახელმწიფო ნომრის და ტექპასპორტის ნომრის მითითებით. ძირითადი მძღოლი უფლებამოსილია მართოს მითითებული ავტომობილი მზღვეველის მიერ შეტყობინების მიღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში. დაზღვევა ამოქმედდება მზღვეველის მიერ შეტყობინების მიღებიდან 1 საათის შემდეგ.

6. სადაზღვევო თანხები, პრემია და ფრანშიზა

- 6.1. წლიური სადაზღვევო ტარიფი, პრემიის ოდენობა, გადახდის ვადები და ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით;
- 6.2. სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას დაზღვევის მომენტისათვის;
- 6.3. დამზღვევი სადაზღვევო პრემიას იხდის ერთჯერადად პოლისის გაცემისთანავე ან განვადებით (განვადება დაიშვება არანაკლებ ერთი წლის ვადით დაზღვევის შემთხვევაში, ხოლო გადახდის კონკრეტული ვადები განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით);

- 6.4. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში - თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამზღვევი ვალდებულია, პოლისის გაცემისთანავე სრულად გადაიხადოს პირველი სადაზღვევო შესატანი, ხოლო ყოველი მომდევნო შესატანი - სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.
- 6.5. სადაზღვევო პრემიის ერთჯერადად გადახდის შემთხვევაში - სადაზღვევო პრემიის დროულად და სრულად გადახდამდე, ხოლო განვადებით გადახდის შემთხვევაში - სადაზღვევო პრემიის მორიგი შესატანის დროულად და სრულად გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობების შესრულებისგან.
- 6.6. თუ სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება განვადებით და სადაზღვევო შემთხვევა დადგა პრემიის სრულ გადახდამდე და ზარალის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40%-ს, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოიქვითება გადაუხდელი პრემიის ოდენობა.
- 6.7. მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წარმოადგინოს პრემიის (და/ან მორიგი შესატანის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 6.8. მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის 14 (თოთხმეტი) და მეტი დღით დარღვევის შემთხვევაში, შეაჩეროს სადაზღვევო პოლისის მოქმედება. დამზღვევის მიერ დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისის მოქმედება ავტომატურად აღდგება გადახდის დღის 24:00 საათზე, თუმცა სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაზე, რომელიც დადგა სადაზღვევო პოლისის მოქმედების შეჩერებიდან დავალიანების დაფარვის დღის 24 საათამდე. იმ სადაზღვევო შემთხვევაზე, რომელსაც ადგილი ექნება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადის გადაცილებიდან 14 დღის განმავლობაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამზღვევი დაფარავს მიმდინარე დავალიანებას;
- 6.9. მიუხედავად სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობისა და სადაზღვევო ანაზღაურებების ოდენობებისა, სადაზღვევო პერიოდის მანძილზე ანაზღაურებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას ან პოლისში მითითებულ სადაზღვევო ლიმიტს (მისი არსებობის შემთხვევაში).
- 6.10. სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ, სადაზღვევო თანხა (მათ შორის სხვა დამატებითი დაფარვების ცალკეული ლიმიტი) შემცირდება ანაზღაურებული თანხ(ებ)ის ოდენობით. დამზღვევის მიერ თავდაპირველი ლიმიტის აღდგენა მოხდება მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე დამატებითი პრემიის გადახდის გზით.

7. დაზღვევის მოქმედების ვადები

- 7.1. დაზღვევის ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით და აღინიშნება სადაზღვევო პოლისში.
- 7.2. დაზღვევა ძალაში შედის პოლისში მითითებულ სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი თარიღის 24.00 საათზე.
- 7.3. დაზღვევა სრულდება:
 - 7.3.1. სადაზღვევო პოლისში მითითებულ პერიოდის ბოლო დღის 24:00 საათზე.
 - 7.3.2. სადაზღვევო თანხის სრულად ამოწურვის შემთხვევაში.
 - 7.3.3. თუ დაზღვეული ობიექტი აღარ არსებობს, სადაზღვევო რისკებისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.
 - 7.3.4. მოსარგებლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, მხარეთა ორმხრივი შეთანხმებულ ნებისმიერ დროს.
 - 7.3.5. სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტის შემთხვევაში, მხოლოდ მოსარგებლის თანხმობით.
 - 7.3.6. თუ განხორციელდა იმ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სრულად დაფარვა (მათ შორის ვადაზე ადრე), რომლის უზრუნველყოფის საშუალების დაზღვევაც ხდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.
 - 7.3.7. თუ სს „ბაზის ბანკი“ მიერ განხორციელდა იმ საკრედიტო ვალდებულებათა (კრედიტის) მოთხოვნის უფლების დათმობა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებასაც წარმოადგენს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება.
 - 7.3.8. თუ სს „ბაზის ბანკმა“ უარი განაცხადა დაზღვევის ობიექტის გირავნობის უფლებაზე.
 - 7.3.9. თუ დარღვეული იქნება სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკი, კერძოდ, არ იქნება გადახდილი სადაზღვევო პრემია დადგენილი წესითა და ოდენობით 6 (ექვსი) თვეზე მეტი ვადის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, მზღვეველი აანაზღაურებს ამ პერიოდში დამდგარ სადაზღვევო შემთხვევას, ხოლო დამზღვევი ვალდებულია აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ გადაიხადოს ვადაგადაცილებული სადაზღვევო პრემია;
- 7.4. დაზღვევის ვადა დგინდება საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებული სესხის ვადის მიხედვით.

8. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა ხდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და მოსარგებლის თანხმობით დამზღვევის წერილობითი განაცხადის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მზღვეველი პოლისის ვადამდე ადრე წყვეტს განაცხადის მიღებიდან 14 კალენდარული დღის შემდგომ.
- 8.2. მზღვეველის ინიციატივით, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამზღვევს წერილობით ეცნობება ხელშეკრულების გაწყვეტამდე 14 კალენდარული დღით ადრე, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი არ არის პრემიის გადაუხდელობა.
- 8.3. პრემიის გადახდის გრაფიკის 14 ან მეტი დღით დარღვევის შემთხვევაში, დამზღვევს ეცნობება დავალიანების შესახებ წერილობით (იურიდიული პირის შემთხვევაში) ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით (ფიზიკური პირის შემთხვევაში). გაფრთხილების მიუხედავად, პრემიის გადახდის გრაფიკის 6 (ექვსი) თვით ან მეტი ხნით დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებას იტოვებს, ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება.
- 8.4. შეტყობინება ჩაითვლება გაგზავნილად, თუ ის გაგზავნილია განაცხადში მითითებულ მისამართზე (იურიდიული პირის შემთხვევაში) ან ტელეფონის ნომერზე (ფიზიკური პირის შემთხვევაში). აღნიშნული მონაცემების შეცვლის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წერილობით აცნობოს მზღვეველს შეცვლილი მონაცემები.
- 8.5. დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას:
 - 8.5.1. იმ შემთხვევაში, თუ პოლისზე არ ფიქსირდება ზარალები, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემია;
 - 8.5.2. იმ შემთხვევაში, თუ პოლისზე ფიქსირდება ზარალები, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სრული პრემია.

9. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

9.1. დამზღვევი ვალდებულია

- 9.1.1. როგორც სადაზღვევო პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში, შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;
- 9.1.2. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადებში;
- 9.1.3. მიუთითოს ყველა იმ არაქარხნული დეტალისა და აქსესუარის, ისევე როგორც დამონტაჟებული გაზის მოწყობილობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომლითაც აღჭურვილია ავტოტრანსპორტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებას იტოვებს არ აანაზღაუროს მსგავს დეტალებთან დაკავშირებული ზიანი.
- 9.1.4. მიიღოს მიზანშეწონილი და გონივრული ზომები იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი;
- 9.1.5. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობებში ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ, მათ შორის: ძირითადი მძღოლის ცვლილება, სხვა პირისათვის სარგებლობაში, მფლობელობაში, საკუთრებაში ან მინდობილ საკუთრებაში გადაცემა, აღრიცხვიდან მოხსნა ან სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში სათანადო წესით გადაფორმება, დაცვის პირობების შეცვლა, საიდენტიფიკაციო მონაცემებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, მართვის მოწმობის, ტექნიკური პასპორტის, რეგისტრაციის მოწმობის, გასაღების, სიგნალიზაციის პულტის ან სანომრე ნიშნის შეცვლა ან დაკარგვა, ავტოტრანსპორტის გასაღების დაკარგვის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 9.1.6. ავტოტრანსპორტის ერთზე მეტი გასაღების (სიგნალიზაციის პულტის) არსებობის შემთხვევაში, რაც აღნიშნული უნდა იყოს დამზღვევის მიერ შევსებულ ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადში, ექსპლუატაციაში ჰქონდეს მხოლოდ ერთი, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარ(ებ)ი შეინახოს საიმედო ადგილას.
- 9.1.7. თან იქონიოს ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, (რომელიც სავალდებულო წესით შემთხვევის დადგომისას უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან) და არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს ავტოტრანსპორტის ქურდობის შედეგად დამდგარი ზიანი;

შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია:

- 9.1.8. შემთხვევის დადგომისთანავე მიაწოდოს მზღვეველს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ცხელ ხაზზე (2 949 949);

- 9.1.9. შემთხვევის დადგომისთანავე განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა);
- 9.1.10. მზღვეველთან შეთანხმებით, შეინარჩუნოს დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა მზღვეველის მიერ მის დათვალიერებამდე და ფოტოგადაღებამდე;
- 9.1.11. არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მზღვეველს ინფორმაცია შესაძლებელია მიაწოდოს დამზღვევის წარმომადგენელმა);
- 9.1.12. ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში დამზღვევმა ან უფლებამოსილმა პირმა წარუდგინოს მზღვეველს საქმის წარმართვისათვის აუცილებელი და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას ზიანის დადგომის თაობაზე მიღებული შეტყობინება ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა;
- 9.1.13. წარუდგინოს მზღვეველს ზიანის ოდენობისა და მიზეზის განსაზღვრისათვის აუცილებელი ყველა არსებული დოკუმენტი და მასალა;
- 9.1.14. არ დაიწყოს ავტოტრანსპორტის შეკეთება მზღვეველის თანხმობის გარეშე;
- 9.1.15. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) თაობაზე;
- 9.1.16. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;
- 9.1.17. არ განაცხადოს საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ და არ გასცეს პირობა ზიანის ანაზღაურებაზე მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოიხსნას ნაკისრი პასუხისმგებლობა;
- 9.1.18. ხელი შეუწყოს მზღვეველს ზიანის ანაზღაურების უფლების გამოყენებაში, გადასცეს მას სათანადო დოკუმენტაცია და უფლებამოსილებანი, დათმოს მოთხოვნის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 9.1.19. წინამდებარე პირობებითა და ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას მზღვეველს წარუდგინოს:
 - წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;
 - სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
 - ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სარეგისტრაციო მოწმობის წარუდგენლობა, დაზღვეულის ნების საწინააღმდეგოდ, გამოწვეულია ყაჩაღობის/ძარცვის ფაქტით;
 - მძღოლის მართვის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები;
- 9.1.20. დამზღვევი ვალდებულია საჭიროების მიხედვით მზღვეველს დამატებით წარუდგინოს:
 - ცნობა შსს-დან, და ან შესაბამისი ორგანოებიდან, რომელიც ასახავს საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებას;
 - მზღვეველის მოთხოვნის საფუძველზე დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა მომხდარ ფაქტთან, მის გამომწვევ მიზეზებთან და ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით;
- 9.1.21. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ გატაცებული (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) ავტოტრანსპორტი ნაპოვნი იქნება, დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია, გადასცეს იგი მზღვეველს საკუთრებაში, კანონით დადგენილი წესით ან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება. დამზღვევის მიერ მზღვეველზე ავტოტრანსპორტი გადაიცემა ან მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება დაუბრუნდება ავტოტრანსპორტის პოვნისა და მისი დამზღვევისათვის დაბრუნებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადაფორმების ხარჯებს იღებს დამზღვევი;
- 9.1.22. ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების (ერთ-ერთი ან რამდენიმე) დამზღვევის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება მისი მოვალეობ(ებ)ისგან.

9.2. დამზღვევი უფლებამოსილია

- 9.2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;

- 9.2.2. მზღვეველთან შეთანხმებით შეცვალოს დაზღვევის პირობები;
- 9.2.3. მოითხოვოს საკუთარი ხარჯებით ექსპერტიზის ჩატარება.

9.3. მზღვევლი ვალდებულია

- 9.3.1. კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა არ გაამყდუნოს მონაცემები დამზღვევსა (დაზღვეულსა) და მის ქონებრივ მდგომარეობაზე, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის სადაზღვევო ურთიერთობების წარმოშობისას;
- 9.3.2. 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი ყველა აუცილებელი მასალისა და დოკუმენტის მიღებიდან და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად;
- 9.3.3. გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის მიერ აქტზე ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით (თუ წინამდებარე პირობების გარდა მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული);
- 9.3.4. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის ორმხრივად ხელმოწერამდე;
- 9.3.5. მესამე პირთა წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის პასუხისმგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაზღვეულის მიერ მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, თუ წინამდებარე პირობების გარდა მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული. ამასთან, თუ კომპეტენტური ორგანოები ფლობენ მასალებს ან საფუძვლიან ვარაუდს, რომელიც მზღვევლს აძლევს საფუძველს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, მზღვევლს აქვს უფლება გადაავადოს ანაზღაურების გაცემა საჭირო ვითარების გარკვევამდე. ამ შემთხვევაში მზღვევლი დამზღვევს წარუდგენს გადავადების საფუძველად არსებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას;

9.4. მზღვევლი უფლებამოსილია

- 9.4.1. გააუქმოს სადაზღვევო პოლისი ან/და შესთავაზოს დამზღვევს შეცვლილი პირობებით პოლისის მიღება და ამის თაობაზე წერილობით შეატყობინოს დამზღვევს, თუ ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადში აღნიშნული მონაცემები არ ან აღარ შეესაბამება სინამდვილეს ;
- 9.4.2. დაათვალიეროს ავტოტრანსპორტი;
- 9.4.3. სადაზღვევო შემთხვევის დროს გაგზავნოს და/ან მიმართოს შესაბამისი შეკითხვებით კომპეტენტურ ორგანოებს;
- 9.4.4. დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის) თანხმობით, მისი სახელით თავის თავზე აიღოს მისი უფლებების დაცვა ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში ან/და ადმინისტრაციულ ორგანოში და ამ მიზნით მიიღოს სათანადო დოკუმენტაცია და უფლებამოსილება;
- 9.4.5. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებათა შეუსრულებიან;

10. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

- 10.1. სადაზღვევო შემთხვევისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ყველა საჭირო მონაცემის განსაზღვრის და ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
- 10.2. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის, სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისათვის აუცილებელი ხარჯებით, რომლის გაანგარიშება მოხდება საბაზრო ღირებულებით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ზიანის ანაზღაურებისას, ზიანის ოდენობას აკლდება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზიანი გამოწვეულია იდენტიფიცირებული მესამე პირის ბრალეულობით დადგენილ ვითარებაში.
- 10.3. თუ სადაზღვევო შემთხვევის გამო მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება, მზღვევლი ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებისა და საქმეში არსებული მასალების, მათ შორის სასაქონლო ექსპერტიზის (მისი არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.
- 10.4. ავტოტრანსპორტის დაზიანებისას ზიანის ოდენობა ანგარიშდება მზღვევლის მიერ მოწვეული ექსპერტის მიერ შედგენილი ან დამზღვევის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის საფუძველზე. ზიანის ოდენობაში შეიტანება აგრეთვე დამზღვევის

- (დაზღვეულის) მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც მან მზღვეველთან შეთანხმებით გაიღო დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისათვის;
- 10.5. ავტოტრანსპორტის სრულ განადგურებად მიიჩნევა ზიანი, რომლის აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 60% (სამოცი) ან მეტ პროცენტს შეადგენს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სადაზღვევო პოლისით.
 - 10.6. ანაზღაურების გაცემისას მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისაგან მოითხოვოს დაზიანებული (შეცვლილი) ნაწილების, ან სრულად განადგურებული ავტოტრანსპორტის გადაცემა მზღვეველის საკუთრებაში. დაზიანებული ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადაცემა უნდა მოხდეს დამზღვევის მიერ სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში აღრიცხვიდან მოხსნის გზით. აღრიცხვიდან მოხსნის და გადაფორმების ხარჯები იფარება დამზღვევის მიერ;
 - 10.7. მზღვეველს უფლება აქვს სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს რეალიზაციისათვის ვარგისი ნარჩენების ღირებულება. ნარჩენების მზღვეველზე გადაცემის შემთხვევაში დაზიანებული ავტოტრანსპორტი მზღვეველს გადაეცემა მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
 - 10.8. ქურდობის, ყაჩაღობისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა იმ პირობით, თუ დამზღვევი მზღვეველს გადასცემს საკუთრების უფლებას გატაცებულ ავტოტრანსპორტზე;
 - 10.9. დაზღვევა ფარავს ზარალს იმ თანხის ზემოთ, რომელიც დაზღვეულმა (მოსარგებლემ) შეიძლება მიიღოს არსებული სხვა დაზღვევის შედეგად;
 - 10.10. თუ ავტოტრანსპორტი იმყოფება ლიცენზირებული ცენტრის გარანტიაზე, ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯები განისაზღვრება შესაბამისი ლიცენზირებული სარემონტო ცენტრის კალკულაციაზე დაყრდნობით და ზარალის თანხის ანაზღაურება განხორციელდება შესაბამისი ცენტრთან ანგარიშწორების გზით;
 - 10.11. 15 წელზე მეტი ხნოვანების ავტომობილების დაზიანებული ნაწილებისათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს ახალი ნაწილების ღირებულებას დაკლებული ცვეთის ღირებულება. აღნიშნული დაანგარიშება გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია დაზიანებული ნაწილის აღდგენა ან/და მეორადი, არაორიგინალი ნაწილით ჩანაცვლება.
 - 10.12. შეკეთების და/ან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ ავტოტრანსპორტი დასათვალიერებლად უნდა წარედგინოს მზღვეველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემდგომში მსგავსი დაზიანება ზიანის ანგარიშში არ გაითვალისწინება;
 - 10.13. ავტოტრანსპორტის დაზიანების, განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში, მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს ფულადი ფორმით. ავტოტრანსპორტის სრული განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფრანშიზა და პრემიის ის ნაწილი, რომელიც დამზღვევს აქვს გადასახდელი მზღვეველისათვის, ხოლო სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ, მზღვეველი იძენს საკუთრების უფლებას განადგურებულ ან გატაცებულ ავტოტრანსპორტზე;
 - 10.14. ავტომობილის ქურდობისას მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) თვიანი მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ, თუ ვერ მოხერხდა მოპარული ავტომობილის დაბრუნება.
 - 10.15. მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შედეგად დაზღვეულის პასუხისმგებლობის ან უბედური შემთხვევის დადგომისას ანაზღაურებას ექვემდებარება:
 - 10.15.1. დამზღვევის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის შედეგად, მესამე პირთათვის მიყენებული ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც დამზღვევს დააკისრებს სასამართლო. მზღვეველის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, მესამე პირთა მიმართ მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული მხარე ადასტურებს რომ მას არ ექნება არავითარი შემდგომი პრეტენზია. აღნიშნული ზიანის თანხა, მზღვეველის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, მოიცავს:
 - 10.15.2. მესამე პირთა ქონების დაზიანებისას: სარემონტო ხარჯებს, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად. ქონების სრული განადგურების შემთხვევაში, საბაზრო ღირებულებას ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ზიანის ოდენობა ანგარიშდება მზღვეველის მიერ მოწვეული ექსპერტის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე;
 - 10.15.3. მესამე პირთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის მიყენებული ზიანისას:
 - ა) დოკუმენტურად დადასტურებული ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა ვერ მიიღო შრომისუნარიანობის სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვის გამო. ანაზღაურდება მაქსიმუმ 5 წლის შემოსავალი.
 - ბ) დაზარალებული პირის მკურნალობის ხარჯები, თუმცა დაზღვევით არ ანაზღაურდება:

- ექიმის დანიშნულების გარეშე შეძენილი მედიკამენტების ხარჯები, არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში მიღებული სამედიცინო დახმარება, არატრადიციული მედიცინა, მასაჟი, კოსმეტიკური და პლასტიკური

მომსახურება, ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებები, სანატორიულ-საკურორტო მომსახურება, სარეაბილიტაციო მომსახურებები, დამხმარე საშუალებები, ფსიქოთერაპია, ექსკლუზიური ხარჯები (ლუქს და ვიპ პალატა, აყვანილი ექიმის ჰონორარი);

გ) დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული ხელფასი (დადასტურებული შემოსავალი), არაუმეტეს 5 წლის შემოსავლისა.

10.15.4. ანაზღაურდება ასევე ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული იურიდიული ხარჯები.

- 10.16. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად რამდენიმე პირი დაზარალდა, სადაზღვევო ანაზღაურება თითოეულს ცალ-ცალკე მიეცემა მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, თითოეულის დაზიანების ხარისხის პროპორციულად;
- 10.17. საერთო სადაზღვევო ანაზღაურება ერთ ან რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევაზე, რომლებიც დაზღვევის ობიექტის მიმართ დადგა, დაზღვევის მოქმედების პერიოდში, არ აღემატება მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ლიმიტს (სადაზღვევო თანხას).
- 10.18. თუ ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მიყენებული ტრავმის შედეგად დაზარალებულს მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი ან დაზარალებული გარდაიცვალა, სადაზღვევო ანაზღაურება გადაანგარიშდება ადრე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების გამოკლებით;

11. გამონაკლისები (თუ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემდეგი შემთხვევების შედეგად დამდგარი ზარალები:

- 11.1 ავტომანქანის გასაღების ქურდობა/დაკარგვა.
- 11.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ჩამონტაჟებულ ბუნებრივი აირის დანადგარზე ან დანადგარის მიერ გამოწვეულ ზიანზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 11.3 ავტოტრანსპორტის საგარანტიო შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ღირებულება, სამუშაოები, დაკავშირებული ავტოტრანსპორტის რეკონსტრუქციასთან, გადაწყობასთან, ან ცალკეული ნაწილების გამოცვლასთან (დამატებით აღჭურვა);
- 11.4 ცვეთით გამოწვეული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების გაუფასურება ან დაზიანება;
- 11.5 კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალებით გამოწვეული დაზიანება/ზარალი;
- 11.6 ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ ავტოტრანსპორტს მართავს ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლი, მიუხედავად იმისა სადაზღვევო შემთხვევა მისი ბრალეულობით არის გამოწვეული თუ არა. ასევე იმ სამკურნალო პრეპარატების მიღებისას დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა, რომლის ანოტაციის მიხედვით სახიფათოა ავტომობილის მართვა და სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობით.
- 11.7 ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ ავტოტრანსპორტს მართავს პირი, რომელსაც არ აქვს ან დროებით ჩამორთმეული აქვს მოცემული კატეგორიის ავტოტრანსპორტის მართვის უფლება, ან რომელიც არ არის მითითებული ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადში, როგორც უფლებამოსილი მძღოლი ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ გაირკვევა, რომ დამზღვევის მიერ წარმოდგენილი საიდენტიფიკაციო მონაცემები არასწორი ან ყალბია;

- 11.8 დაზღვეული ავტომობილის მძღოლი მოძრაობს საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით.
- 11.9 თუ სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოჰყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე საზღვაო, სახმელეთო, სარკინოგზო ან სხვა ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას.
- 11.10 ანაზღაურება არ გაიცემა ავტოტრანსპორტის შეუსაბამო საგზაო პირობებში გამოყენებისას (ავტომობილის ისეთ ადგილებში გამოყენება, რომელიც არ არის განკუთვნილი ავტომობილის მოძრაობისთვის);
- 11.11 ანაზღაურება არ გაიცემა ავტოტრანსპორტით ფეთქებადი, თვითაალებადი ნივთიერების ან საგნების გადაზიდვისას;
- 11.12 ანაზღაურება არ გაიცემა მზღვეველთან შეუთანხმებლად, ავტოტრანსპორტის გამოყენებისას სასწავლო, სასპორტო ან სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარება, საგზაო პოლიცია, ჯავშანტრანსპორტი, ტაქსი და ა.შ.) მიზნით;
- 11.13 იმ შემთხვევაში თუკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს აღმოჩნდება რომ დაზღვეული ავტომობილი გამოიყენებოდა კომერციული მიზნებისათვის ან ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულია ტაქსის ლიცენზია და აღნიშნული ინფორმაცია არ იყო შეტყობინებული დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს დამდგარი ზარალი.
- 11.14 არ დაიფარება ზარალი რომელიც გამოწვეულია ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას ან რომელსაც დროულად არ გაუვლია სავალდებულო (ასეთი მოთხოვნის არსებობისას) ტექნიკური დათვალიერება და აღნიშნული გაუმართაობა გახდა ზიანის მიყენების ან მისი ოდენობის გაზრდის მიზეზი, ასევე ავტოტრანსპორტის, აკუმულატორის, სხვა ელექტრომოწყობილობის და/ან მისი ცალკეული ნაწილების დაზიანება მოკლე ჩართვის შედეგად;
- 11.15 ავტოტრანსპორტის ისეთი შეკეთება, რომელიც აუმაღლებს ავტოტრანსპორტის ზარალის დადგომამდე არსებულ მდგომარეობას;
- 11.16 ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით; ასევე ავტომობილის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/ აღდგენის ხარჯებს, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება;
- 11.17 ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურება;
- 11.18 კაბრიოლეტის ტიპის ავტომობილების შემთხვევაში ტენტების, სალონის საფარი ბრეზენტების ცალკეული დაზიანება (თუ დაზღვევის პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);

- 11.19 დამზღვევის არაპირდაპირი ზიანი (მიუღებელი შემოსავალი), რომელიც სადაზღვევო შემთხვევის შედეგია;
- 11.20 ავტოტრანსპორტის ქურდობა სარეგისტრაციო მოწმობასა ან/და გასაღებთან ერთად (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დაკარგულია ავტომობილის გასაღები ან სიგნალიზაციის პულტი და ამის შესახებ დამზღვევმა შეატყობინა მზღვეველს);
- 11.21 ავტოტრანსპორტის ქურდობა, რომელსაც ქურდობის მომენტში ჰქონდა დაწეული მინები და/ან ღია კარი;
- 11.22 ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომრის გატაცება;
- 11.23 რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road);
- 11.24 საბურავების, დისკების, სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის ცალკეული დაზიანება;
- 11.25 ზიანი, რომელიც გამოწვეულია ომით (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა), შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო მღელვარებით, გაფიცვით, ხელისუფლების მიერ.
- 11.26 ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
- 11.27 იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით, ატომური ან ბირთვული ნივთიერებებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური ნივთიერებებით.
- 11.28 სხვა მოქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს.
- 11.29 არა-ქარხნული აქსესუარები და გაზის მოწყობილობა, თუკი ეს წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან.
- 11.30 ავტომობილის გარე ფირის ცალკეული ან/და სრული დაზიანება;
- 11.31 პირდაპირი ან არაპირდაპირი ზარალი ან ზიანი გამოწვეული კიბერ რისკების შედეგად.

12. ზიანის ანაზღაურების უფლება

- 12.1 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს (დაზღვეულს, მოსარგებლეს) გააჩნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ;
- 12.2 დამზღვევი (დაზღვეული, მოსარგებლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს მზღვეველს ზიანის ანაზღაურების უფლების განხორციელებაში და გადასცეს ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გადასული მოთხოვნის უფლების განხორციელებისათვის;
- 12.3 დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის) მიერ წინამდებარე პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება;

13. ფორს-მაჟორული გარემოება

- 13.1 ფორს-მაჟორის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე პირობების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია აღნიშნული გარემოების დადგომის შედეგად;

- 13.2 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შეტყობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებადობის შესახებ. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი, შემდგომში უნდა დამოწმდეს (დადასტურდეს) საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ;
- 13.3 თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ან მის გამო დაზღვევის აღსრულების დაყოვნებამ მხარ(ებ)ის ინტერესის დაკარგვა გამოიწვია, მაშინ მხარეები თანხმდებიან დაზღვევის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ;

14. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება

- 14.1 მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე, თუ ამგვარი ქმედება არ უკავშირდება მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულებების და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის კონფიდენციალურად მიიჩნევა მხარეთა მიერ წერილობითი თუ ზეპირი ფორმით გადაცემული ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია, რომელიც ასეთად განისაზღვრება კანონმდებლობით და/ან წარმოადგენს მხარეთა კომერციულ საიდუმლოებას.
- 14.2 14.1. პუნქტიდან გამონაკლისის სახით, მხარეები თანხმდებიან, რომ ორმხრივად ხელმოწერილი სადაზღვევო პოლისის საფუძველზე, დამზღვევი აცხადებს წინასწარ უპირობოდ გაცხადებულ თანხმობას, ხოლო მზღვეველს გადაეცემა უფლებამოსილება, სადაზღვევო შემთხვევასა და ზარალთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის დამზღვევის/დაზღვეულის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, ყოველგვარი დამატებითი შეთხმემის გარეშე, გადაეცეს შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს“ (ს/კ 204558433; რეგისტრაციის თარიღი 23/07/2008) და აღირიცხოს შესაბამისი მონაცემთა ბაზაში.
- 14.3 „დამზღვევი“ აცხადებს თანხმობას, რომ „მზღვეველი“ უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამუშაოს „დამზღვევის“ / „დაზღვეულის“ პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მოცულობით, ხელშეკრულების მიზნებისათვის და საჭიროების შემთხვევაში გადასცეს ისინი მესამე პირებს. „მზღვეველი“ ასევე უფლებამოსილია, დაამუშაოს „დამზღვევის“ / „დაზღვეულის“ პერსონალური მონაცემები მარკეტინგული მიზნებისათვის.
- 14.4 „დამზღვევი“ აცხადებს თანხმობას, რომ „მზღვეველმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან მოითხოვოს / მიიღოს, მისთვის აუცილებელი, „დამზღვევის“ / „დაზღვეულის“ პერსონალური მონაცემები.

15. დავა და ზიანის ანაზღაურება

- 15.1. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (ზარალის, მიუღებელი სარგებლისა და მორალური ზიანის ჩათვლით) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 15.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.
- 15.3. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
- 15.4. ნებისმიერი დავა, რომელიც ვერ გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

16. დასკვნითი დებულებები

- 16.1. მხარეთა შეთანხმება არ მოითხოვს ამ პირობებში ცვლილებების/დამატებების შესატანად, თუ ეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს;

16.2. მხარეები ვალდებული არიან, მეორე მხარესთან წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე პირობებიდან გამომდინარე.

17. სანქციის პირობა

17.1. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ან შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

გავეცანი დაზღვევის საერთაშორისო კომპანია “ირაოს“ ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი (სახელი და გვარი)
ხელმოწერა / _____ /

დამზღვევი (სახელი და გვარი)
ხელმოწერა / _____ /

თარიღი: